სს „საქკაბელის“ ლოიალობის პროგრამის პირობები და გენერალური ხელშეკრულება

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. **კომპანია:** სს „საქკაბელი“ (ს/კ:230026888), იურიდიული მისამართი: ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქუჩა № 17; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქუჩა № 83; ტელეფონი: 032 2 22 14 18; ელ.ფოსტა: office@sakcable.ge

1.2. **ლოიალობის ბარათი:** კომპანიის მიერ გაცემული ვირტუალური ან ფიზიკური ინსტრუმენტი, რომელიც მონაწილეს საშუალებას აძლევს, დააგროვოს და გამოიყენოს ბონუს ქულები.

1.3. **მონაწილე/მომხმარებელი**: იდენტიფიცირებული ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირდება პროგრამაში წინამდებარე პირობების შესაბამისად.

1.4. **ბონუს ქულა:** პროგრამის ფარგლებში აღრიცხული პირობითი ერთეული, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური სარგებლის მისაღებად.

1.5 **წლიური ნავაჭრი**: მომხმარებლის მიერ სს „საქკაბელისგან“ (შემდგომში „კომპანია“) პროდუქციის შესყიდვების ჯამური ღირებულება, რომელიც შეადგენს არანაკლებ 5,000 (ხუთი ათასი) ლარს. აღნიშნული ჯამური ღირებულების დათვლა ხორციელდება მომხმარებლის მიერ ლოიალობის ბარათის გახსნის/მიღების სურვილის გამოხატვის თარიღიდან წინა 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარული დღის პერიოდში განხორციელებული და კომპანიის ბაზაში იდენტიფიცირებული ტრანზაქციების საფუძველზე.

მუხლი 2. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და აქცეპტი

2.1. **ხელშეკრულებაზე დათანხმება:** ლოიალობის პროგრამაში რეგისტრაციის პროცესის დასრულებით (სერვის-ცენტრში), მომხმარებელი ავტომატურად, ყოველგვარი დამატებითი დათქმის გარეშე, აცხადებს სრულ და უპირობო თანხმობას წინამდებარე გენერალურ ხელშეკრულებაზე და ლოიალობის ბარათის წესებსა და პირობებზე.

2.2. რეგისტრაციის ფაქტით მომხმარებელი ადასტურებს, რომ იგი დეტალურად გაეცნო ხელშეკრულების ტექსტს, წესებსა და პირობებს და მისთვის გასაგებია მასში მოცემული თითოეული პუნქტი და აცნობიერებს მათ სამართლებრივ შედეგებს.

მუხლი 3. მონაწილეობის კრიტერიუმები და იდენტიფიკაცია

3.1. პროგრამაში ჩართვა შეუძლია მხოლოდ იდენტიფიცირებულ კლიენტს, რომლის მონაცემებიც არსებობს კომპანიის ბაზაში.

3.2. ბარათის მიღების უფლება წარმოიშობა შემდეგი ფინანსური ზღვრების დაკმაყოფილებისას:

- **ერთჯერადი შესყიდვა:** არანაკლებ 1,000 (ათასი) ლარი.
- **წლიური ნავაჭრი (კუმულაციური):** არანაკლებ 5,000 (ხუთი ათასი) ლარი.

მუხლი 4. ბონუს ქულების დარიცხვის სქემა

4.1. ქულების დარიცხვა ხდება პროდუქციის კატეგორიების მიხედვით:

- **სს „საქკაბელის“ წარმოებული კაბელი:** გადახდილი თანხის 3%.
- **Schneider Electric-ის პროდუქცია:** გადახდილი თანხის 10%.
- **სხვა არასაკაბელო პროდუქცია:** გადახდილი თანხის 5%.

4.2. ქულები არ ირიცხება სააქციო ან სალიკვიდაციო ფასის მქონე პროდუქციაზე.

მუხლი 5. ქულების გამოყენების წესი და ადმინისტრირება

5.1. **მოლოდინის პერიოდი:** დაგროვებული ქულების რეალიზაცია შესაძლებელია შენაძენის გაკეთებიდან 1 (ერთი) თვის გასვლის შემდეგ.

5.2. **გამოყენების ფორმები:** ქულების გადაცვლა შესაძლებელია ნებისმიერ პროდუქტში ან მათი „გაქეშება“ ფულადი სახსრების სახით.

5.3. **ვადა:** ბონუს ქულები მოქმედია დარიცხვის დღიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ისინი ავტომატურად ნულდება.

5.4. **ბარათის დაკარგვა:** ბარათის დაკარგვისას ახალი ბარათის დამზადების საფასური შეადგენს 10 (ათი) ლარს.

მუხლი 6. საქონლის დაბრუნების პოლიტიკა

6.1. გადაცვლის შემთხვევა:

6.1.1 გადაცვლას ექვემდებარება მხოლოდ უნაკლო საქონელი, შეძენიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

6.1.2 გადაცვლა შესაძლებელია ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების ერთობლიობის შემთხვევაში:

- ნივთს უნდა ჰქონდეს შენარჩუნებული პირვანდელი სახე და უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც განხორციელდა მისი შეძენა (სპეციალური დამცავი შრეებით და ა.შ.);

- ნივთის გარეგნული სახე არ უნდა იყოს შეცვლილი/დაზიანებული, ნივთს არ უნდა აღენიშნებოდეს გარეგნული დეფექტი (ნაკაწრები და ა.შ) სახით;

- ნივთის დაბრუნების დროს საქონელს უნდა ახლდეს შეძენის დროს გადაცემული ყველა მაკომპლექტებელი აქსესუარი, მათ შორის ყუთიც და საგარანტიო ფურცელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა.

- ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას შეძენის დამადასტურებელი საგადახდო დოკუმენტი;

6.2 საკაბელო პროდუქციის შეძენის შემთხვევაში საქონლის გადაცვლა არ არის შესაძლებელი, თუ შეკვეთა დამზადებულია ინდივიდუალური პარამეტრებით.

6.3 ბანკის განვადებით/განაწილებით შეძენილი უნაკლო საქონელი, არ ექვემდებარება გადაცვლას.

6.4 საქონლის დაბრუნების შემთხვევა:

6.4.1 ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს, საქონლის შეძენიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მოითხოვოს საქონლის უკან დაბრუნება;

6.4.2 თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის გადაცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქონლის ბუნებიდან გამომდინარე ეს შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებლის თანხმობით, შესაძლებელია განხორციელდეს იგივე ღირებულების ნივთში გადაცვლა ან თანხის დაბრუნება. საქონლის შეცვლა უნდა განხორციელდეს მხარეთა დამატებითი შეთანხმებით, გონივრულ ვადაში.

მუხლი 7. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

7.1. რეგისტრაციით მომხმარებელი აძლევს თანხმობას კომპანიას, დაამუშაოს მისი მონაცემები პროგრამის ადმინისტრირების, იდენტიფიკაციისა და მარკეტინგული კომუნიკაციის მიზნით (კანონმდებლობის ფარგლებში).

7.2. მონაწილეს აქვს უფლება მოითხოვოს მონაცემთა გასწორება ან წაშლა, რაც იწვევს პროგრამაში მონაწილეობის შეწყვეტას.

მუხლი 8. დავების განხილვის მექანიზმი

8.1 ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში-წინამდებარე და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან, მოშლასთან, შეწყვეტასთან და ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ მიერ (ს/კ:205273005). არბიტრაჟი დავას განიხილავს და გადაწყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე, მისთვის წერილობით წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე. საარბიტრაჟო განხილვა უნდა დამთავრდეს და არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს პირველი საარბიტრაჟო

სხდომის ჩატარებიდან [60] კალენდარული დღის განმავლობაში. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ მიერ დავის განხილვის შეუძლებლობის (არბიტრაჟის ლიკვიდაციის და სხვა) შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

მუხლი 9. პროგრამის შეწყვეტა და პასუხისმგებლობა

9.1 მომხმარებლის ინიციატივით შეწყვეტა:
9.1.1 მომხმარებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ლოიალობის პროგრამაში მონაწილეობის შეწყვეტა. ამისათვის მომხმარებელმა უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება კომპანიის მიერ დადგენილი ფორმით. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება ეძლევა სრულად გამოიყენოს ბარათზე არსებული ნაშთი რეგისტრაციის გაუქმებამდე.
9.2 კომპანიის ინიციატივით შეწყვეტა (სანქცირება):
9.2.1 კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, გააუქმოს მომხმარებლის „ლოიალობის ბარათი“ და მასთან დაკავშირებული ყველა ბენეფიტი, თუ:

- დაფიქსირდა მომხმარებლის მხრიდან ბარათის/პროგრამის არაკეთილსინდისიერი გამოყენება;
- გამოიკვეთა თაღლითობის, სისტემური მანიპულაციის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები;
- მომხმარებელმა დაარღვია წინამდებარე „წესებისა და პირობების“ ნებისმიერი დებულება.

9.3. ამ მუხლის 9.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბარათზე არსებული ქულები და ბენეფიტები ანულირდება ავტომატურად და არ ექვემდებარება ანაზღაურებას ან აღდგენას.

10. დასკვნითი დებულებები

კომპანია იტოვებს უფლებას, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები პროგრამის პირობებში, რის შესახებაც მომხმარებელს ეცნობება ვებ-გვერდის მეშვეობით.